

შპს „არომაკო“
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
2. მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის	4
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
5. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	7
6. ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდი	22

შპს "არომაკო"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

აქტივები	შენ.	2023	2022	2021
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	860,736	870,264	792,812
არამატერიალური აქტივები	5	22,000	-	-
გაცემული სესხები	16	626,126	314,949	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,508,862	1,185,213	792,812
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	7	41,694	39,237	9,993
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	1,887,064	811,726	32,727
გადახდილი ავანსები		115,132	113,872	64,233
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	576,903	647,223	262,428
სულ მიმდინარე აქტივები		2,620,793	1,612,058	369,381
სულ აქტივი		4,129,655	2,797,271	1,162,193
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	146,077	1,119,627	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		146,077	1,119,627	-
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	581,396	186,802	23,178
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ		-	30,011	-
საბაჟო და საგადასახადო ვალდებულებები		20,618	-	7,537
მიღებული ავანსები		17,923	-	134,574
საპროცენტო ვალდებულებები	17	102,926	-	-
მოკლევადიანი სესხები	10	2,358,751	978,696	1,460,510
სხვა ვალდებულებები		-	194,257	87,149
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,081,614	1,389,766	1,712,948
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
აკუმულირებული მოგება/ზარალი		901,964	287,878	(550,755)
სულ კაპიტალი		901,964	287,878	(550,755)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,129,655	2,797,271	1,162,193

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 4 იანვარს

კახაბერ სონიშვილი



შპს "არომაკო"

მოგება/ზარალის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენ.	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	3,864,103	1,883,405
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(622,682)	(182,520)
საერთო მოგება		3,241,421	1,700,885
საოპერაციო ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(2,463,179)	(1,126,375)
სულ საოპერაციო მოგება		778,242	574,510
არასაოპერაციო შემოსავლები	12	3,388	304,681
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი		(2,634)	-
არასაოპერაციო ხარჯები		(3,184)	-
ფინანსური ხარჯები		(27,545)	(40,558)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		748,267	838,633
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		748,267	838,633
სრული შემოსავალი / (ზარჯი)		748,267	838,633

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 4 იანვარს

კახაბერ სონიშვილი



შპს "არომაკო"


კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ხაზგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) / მოგება	საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(550,755)	-	(550,755)
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	838,633	-	838,633
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	287,878	-	287,878
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-
კორექტირება	-	-	(134,181)	(134,181)
პერიოდის შედეგი	-	748,267	-	748,267
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,036,145	(134,181)	901,964

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 4 იანვარს


კახაბერ სონიშვილი



შპს "არომაკო"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2023 წელი	2022 წელი
მოგება დაბეგვრამდე	748,267	838,633
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	211,659	215,165
წმინდა ზარალი /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	2,634	-
საპროცენტო ხარჯი	27,545	40,558
კორექტირება	(181,937)	29,367
	808,168	1,123,723
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	70,320	(384,795)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(1,075,338)	(778,999)
(ზრდა)/შემცირება წინასწარ გადახდილ ხარჯებში		
(ზრდა)/შემცირება მიღებულ ავანსებში	17,923	(134,574)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	394,594	163,624
ზრდა/(შემცირება) სხვა გრძელვადიან ვალდებულებებში		
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში	20,618	(7,537)
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში	(1,260)	(49,639)
ცვლილება სხვა ვალდებულებებში	(224,268)	-
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	10,757	(68,197)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(155,285)	(185,165)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	910	300
არამატერიალური აქტივების შეძენა	(22,000)	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(176,375)	(184,865)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან მიღებული ფული	(311,177)	(314,949)
სესხებზე გადახდილი ფული	481,886	597,255
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	170,709	282,306
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(2,634)	-
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	2,457	29,244
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	39,237	9,993
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	41,694	39,237

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 4 იანვარს

კახაბერ სონიშვილი



შპს „არომაკო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „არომაკო“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2020 წლის მაისში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 400286800. ძირითადი საქმიანობა. შპს „არომაკო“ ფლობს მაღაზიებს თბილისსა და ბათუმში, სადაც ვაჭრობენ არომატიზატორებით. ასევე კომპანიას აქვს თავისი ვებ.საიტი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N41. კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელები იყვნენ:

• შაი ცურ (3-1027081-4, 21446245; 35746470/ისრაელი) - 100%

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს. შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.



შპს "არომაკო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური

კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხებაოპერაციის

განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისკურსით. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2,7020	2,8844
2023 წლის 31 დეკემბერი	2,6894	2,9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანაქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.



შპს "არომაკო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

• აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ

მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე

ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების

ვადებია:

სასარგებლო
მომსახურების ვადა

ჯგუფი

შენობა

50

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

20

სხვა ძირითადი საშუალებები

5-7

არამატერიალური აქტივები.

• აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.



შპს "არომაკო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია.

ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მაკორაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების

გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე,



შპს "არომაკო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადისგარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულხარჯებში.


განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს დაროდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულსარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.



შპს "არომაკო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეთება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდფულს და ნაღდიფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდილია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არარსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.



შპს "არომაკო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.



შპს "არომაკო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

5. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>						
2022 წლის 1 იანვარი	205,021	58,909	80,058	-	676,246	1,020,234
შემოსვლა	82,898	102,267	-	-		185,165
კორექტირება	-	-	-	-	(26,789)	(26,789)
გასვლა	-	(300)	-	-	-	(300)
2022 წლის 31 დეკემბერი	287,920	160,876	80,058	-	649,457	1,178,311
შემოსვლა	66,459	55,347	11,479	22,000		155,285
გასვლა	-	(910)	-	-		(910)
კორექტირება					26,789	26,789
2023 წლის 31 დეკემბერი	354,379	215,312	91,537	22,000	676,246	1,359,474
<i>დაგროვილი ცვეთა</i>						
2022 წლის 1 იანვარი	(34,639)	(17,295)	(3,100)	-	(37,847)	(92,882)
წლის ცვეთა	(45,000)	(17,028)	(13,562)	-	(96,607)	(172,197)
კორექტირება	-	-	-	-	(42,968)	(42,968)
2022 წლის 31 დეკემბერი	(79,640)	(34,323)	(16,662)	-	(177,422)	(308,047)
წლის ცვეთა	(60,329)	(37,831)	(16,892)	-	(96,607)	(211,659)
კორექტირება	-	-	-	-	42,968	42,968
2023 წლის 31 დეკემბერი	(139,969)	(72,154)	(33,554)	-	(231,061)	(476,738)
<i>საბალანსო ღირებულება</i>						
2022 წლის 31 დეკემბერი	208,280	126,552	63,397	-	472,035	870,264
2023 წლის 31 დეკემბერი	214,410	143,158	57,983	22,000	445,185	882,736

6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ

31-Dec-23	31-Dec-22
1,880,490	807,706
6,575	4,020
1,887,064	811,726



შპს "არომაკო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-Dec-23	31-Dec-22
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4,142	4,193
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	36,505	26,562
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,047	8,482
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	41,694	39,237

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-Dec-23	31-Dec-22
საქონლის შესყიდვისგან წარმოქმნილი ვალდებულება	32,667	62,649
მომსახურების შესყიდვისგან წარმოქმნილი ვალდებულება	356,212	28,363
რეზიდენტი ფიზიკური პირისაგან შესყიდული მომსახურება	121,452	121,455
გადასახდელი ხელფასები	71,065	31,061
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	581,395	186,802

9. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31-Dec-23	31-Dec-22
საქონელი	469,620	514,985
ნედლეული და მასალები	84,171	115,581
მზა პროდუქცია	23,113	16,657
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	576,903	647,223



შპს "არომაკო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

10. სესხები

მოკლევადიანი სესხები	31-Dec-23	31-Dec-22
ნასესხები თანხები	2,358,751	978,696
სულ სესხები	2,358,751	934,113

გრძელვადიანი სესხები	31-Dec-23	31-Dec-22
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები	146,077	1,119,627
სულ სესხები	146,077	1,119,627

11. შემოსავალი რეალიზაციიდან

	31-Dec-23	31-Dec-22
მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	3,030,733	1,695,819
საწონლის გაყიდვით მიღებული შემოსავალი	833,370	187,586
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	3,864,103	1,883,405



შპს "არომაკო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

12. არასაოპერაციო შემოსავლები

	31-Dec-23	31-Dec-22
ფინანსური ოპერაციებიდან/ მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	-	304,681
არასაოპერაციო მოგება	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3,388	-
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	3,388	304,681

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31-Dec-23	31-Dec-22
გაყიდული/შემენილი საქონელი	(622,682)	(182,520)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(622,682)	(182,520)



შპს "არომაკო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31-Dec-23	31-Dec-22
შრომის ანაზღაურება	(1,209,652)	(641,363)
საექვეანგარიშოდ აგაცემული თანხის დაბეგვრა	(61,435)	-
საიჯარო ქირა	(241,127)	-
ავტომობილის იჯარა	(2,688)	-
კომუნიკაციის ხარჯები	(27,456)	(17,506)
კომუნალური ხარჯი	(783)	(13,471)
დაზღვევა	(3,405)	(3,813)
რემონტი	(1,013)	(3,763)
კომპიუტერის ხარჯები	(3,107)	(239)
საკონსულტაციო ხარჯები	(35,348)	(25,577)
მენეჯმენტის მომსახურება	(366,102)	(176,039)
ცვეთა და ამორტიზაცია	(211,659)	(215,165)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(1,719)	(1,404)
საწვავის ხარჯი	(38,230)	(28,034)
სხვა საერთო ხარჯი	(259,454)	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,463,179)	(1,126,375)

16. გაცემული სესხები

	31-Dec-23	31-Dec-22
მოთხ.პარტნიორებზე გაცემული სესხიდან	626,126	314,949
სულ გაცემული სესხები	626,126	314,949

17. საპროცენტო ვალდებულებები

	31-Dec-23	31-Dec-22
გადასახდელი პროცენტები	102,926	-
სულ საპროცენტო ვალდებულებები	102,926	-



შპს "არომაკო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

18. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	2023	2022
მენეჯმენტის ანაზღაურება	10,000	-
სულ	10,000	-



შპს "არომაკო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელებიც მატერიალურ გავლენას იქონიებდა ანგარიშგებაზე.

